

თეატრი

თეატრი
საქართველოში

№ 50 საყოველ-კვირბო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი. № 50

23 ქრისტეშობისთვის გამოიცემა ყოველ კვირას 1886 წელს.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. X ნახევარ წლით... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონსტანტინე პოლივინსკის ქარვას. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდაძესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისყიდება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-როზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექციონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან. რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყენენ დაწერილიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კის-რულობს. ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტო-რის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. ТЕАТРЪ Базарная ул. д. Тамамшева № 16.

79


კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთველზე.
(გაგრძელება *)

ერთ ალაგას იმასაც განმარტავს, რომ სასული-ერო სასარგებლო წიგნებს გარდა ქართველობაში საერო წიგნებიც ბევრი იყო, რომელნიც დიდის წარმატებით გავრცელებულან და ვრცელდებიან კი-დეც მთელს საქართველოში და მის მცხოვრებ სა-ერთოდ ქართველობაში. ამ გვარ საყურადღებო წი-გნებად უნდა ჩათვალონ შემდეგნი წიგნები:— „ამი-ჩან და რეკონანანი“ ქმნილი მოსე ხონელისაგან „ვის-ჩამიანი“ სარგის თმოგველისა და ბრწყინვალე „კე-ფხვის ტყაოსანი“ აშოთან რუსთველისაო. ასე, ამ რიგით და ამ სახელით რამდენიმე ალაგას იხსე-ნიებს შოთა რუსთველს და უეჭვოთ ამტკიცებს მას,

რომ შოთა რუსთველს აშოთანი რქმეოა. მე მგონი, რომ აქ განმარტება აღარაა საჭირო ამის შესახებ, რადგანაც საგანს თვით ცნობები ამტკიცებენ და აქეშმარტებენ. აქ ეჭვი აღარ უნდა ექონიოთ ამის შესახებ, რომ ვითომც რუსთველის ნამდვილი სახე-ლი შოთა, ან აშოთანი არ ყოფილიყოს. ამ სახელ წოდებაში მართალია, ასეთი დიდი რამ განსხვავება არაფერია, რომ მის შუა ხაზის გავლა შეგვეძლო-და, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩვენ ჩვენი დიდებული პოეტის სახელი და ღირსება ისე დიდად მიგვანჩია და მას ისე ვაბატონობთ, რომ მასზე თუ კი რამ აღმოჩნდება სადმე და თუ ეს აღმოჩნდებიც ჩვენთვის უცნო იქმნება, მაშინ უეჭველია, რომ ყოველი ქარ-თველი დიდის სიამოვნებით წაიკითხავს მასა და ჩვე-ნის ხელოვნების წარმომადგენელ და დიდებულ კა-ცის ცხოვრების მცირე ცნობებსაც რამე მასალები მიემატება. აქამდის მრავალთათვის საკვირველი იყო ის, რომ საქართველოს ეკლესიის კანონმდებლო-ბის მეოხებით, საქართველოში ქრისტიანობის გავრ-

იხილე „თეატრი“ № 49.



ცვლებს შემდგომ, შოთა აღარ იყო ხმარებაში და როგორ მოხდა, რომ რუსთველისთვის კი უწოდებიათ ეს სახელი. რუსთველს გარდა სხვა-და-სხვა ძველ ისტორიულ წიგნებში და „ქართლის ცხოვრებაში“ ამ სახელწოდებით სხვა-და-სხვა საუკუნეში სხვა-და-სხვა პირნიც არიან მოხსენებულინი, ის კი უნდა ვსთქვათ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული ერთ სახელწოდების ერთი და იგივე პირი ხშირად აშოთადაც იწოდება, შოთადაც და აშოთანადაც. მაინც ხშირად შეხედებით ისეთ პირთ სახელთ მოხსენებათაცა, რომელი თავის საზოგადო მოღვაწეობის პირველ ნაბიჯიდან შოთად ან აშოთანად იწოდება და მისი ცხოვრების აღწერა ისე თავდება, რომ იგი ყველგან ერთ სახელწოდებით იგულისხმება. ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადად სჩანს, რომ საქართველოში ქრისტიანობის შემოღების შემდეგ იგივე შოთას მაგიერ აშოთანი უნდა ყოფილიყო ხმარებული, მაგრამ რაკი ხალხს ამ სახელის ხმარება ერთხელა და სამუდამოთ შეუთვისებია, ამის გამო ამ ჩვეულებაზე ვერც საეკლესიო კანონებს უმოქმედიან და ვერც რამ სხვა ბრძანებლობითი მხარეებსა. მართალია ამ სახელის ხმარება და დარქმევა უნდა „აშოთანი“ ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ ეს სახელწოდება სიაღვლის გამო შოთად გადაკეთებულა. ამ საგანს როდესაც ჩვენ გზა მივეცით და „დროებაში“¹⁾ დავბეჭდეთ ეს იმავე დროს ვახდა ყოველთათვის საყურადღებოთ. ბ. გოგებაშვილმა თვის²⁾ „ბუნების კანონი“ ახალ გამოცემაში აღწერილის რუსთველის ცხოვრებაში ასევე მოიხსენა და რუსთველს უეჭვოდ აშოთანი უწოდა. ამ გვარი მოსახრებაების და აღმოჩენილი ცნობების მეოხებით ჩვენ უეჭვოდ ვამტკიცებთ იმას, რომ რუსთველის სახელიც აშოთანი იქმნებოდა და ეს სახელი ხალხისაგან შოთად გადაკეთებულა, რადგანაც საქართველოს ერს უფრო ეადვილებოდათ და ეხერხებოდათ კიდევ ისეთი სახელების ხმარება და გამოთქმა, რომელთაც კინებითი ფორმა აქვს მიცემული. ამავე საგანს სრული საფუძველი მისცა დ. ბაქრაძემ და ჩვენ გადმოგვცათვის აზრი, რომ ეს სწორედ ასე უნდა იქმნესო და შოთას ნამდვილი სახელი აშოთანი უნდა იყოსო. მაშ დღეის შემდეგ სისწორით და ჭეშმარიტის ცნობებით გვეცოდინება რუსთველის სახელის ისტორია, თუ პატარაობის დროს რა უწოდეს მასა და ან ხალხმა როგორ გადააკეთა ეს სახელი. შემდეგ ბევრს

ისე ეგონა, რომ სახელი შოთა, რუსთველის მეტი სახელი უნდა იყოსო და მისმა ნამდვილმა სახელმა ჩვენამდინ ვერ მოაღწია. ძნელად დასაჯერებელია ის, რომ სახელი იმ კაცისა, რომელმაც დაგვიწერა ჩვენ ბრწყინვალე წიგნი, რომ ამ წიგნის დამწერის სახელს ჩვენამდინ არ მოეხსიოს, მოხსენით კი მოახწია ჩვენამდის, მაგრამ ეს ჩვენ არ ვიცოდით აქამომდინ. თვით მეც დიდად მივაწყდ-მოვაწყდი ჩემს პირველ წერილში, რომ რუსთველის ნამდვილ სახელად შოთა მეცნა და ასევე დავამტკიცე კიდევ. ამას ვამტკიცებდი მე უფრო იმ ჰაზრით, რომ მეტის-მეტი სამარცხენო უნდა ყოფილიყო ჩვენთვის ის, რომ ჩვენ ქართველების ერთად ერთი გონებითი ძალოვნების წარმომადგენელი კაცის სახელიც არ გვეცოდნოდა და ამის მეოხებით ზოგს რა ეწოდებინა მისთვის და ზოგს რა. დღეს კი ჩემი ჰაზრი გამართლდა და ერთი უბრალო და სრულიად მარტაყი ცნობის მოპოვებით აშკარად დამტკიცდა ის, რომ რუსთველის ნამდვილი სახელი აშოთანი ყოფილა და ეს სახელი ხალხს შოთად გადაუკეთებია.

ამ ჰაზრს ვადგევართ ჩვენა, რუსთველის ნამდვილ სახელად ჩვენ აშოთანს ვაღიარებთ და უეჭველია, რომ ეს მოსახრება სიმართლეს მოკლებული არ იქმნება. რაკი ჩვენ ეს გავარკვიეთ და რუსთველის სახელი შევიტყეთ, ამის შემდეგ ახლა ჩვენ ვეცდებით, რომ რუსთველის გვარის შესახებაც რამდენიმე მოსახრებანი და ცნობები წარმოვადგინოთ.

(შემდეგი იქნება)

მეთოდური სახელმძღვანელო საგზოგალო

ენის შესასწავლებლად. შედგენილი ალექ. ნათაძისაგან.
(გაგრძელება *)

მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეცამეტე გვერდზე სახელ-მძღვანელო წიგნისა ბ. ნათაძე ჰყოფს სახმო მეთოდებს სამ გვარად: სინტეტიკური, ანალიტიკური და სინკრიტიული, რომელთაც განსაზღვრამს ამ წიგნად: „სინტეტიკური წესით წერა-კითხვის სწავლება მარტივი ხმების შესწავლით იწყება; ანალიტიკური წესით კი ბავშვები სიტყვას ხმებად ჰყოფენ და ამ გვარად აცალკეებენ შესასწავლებლად

1) «დროება» 1885 წ. 173 №
2) «ბუნების-კანონი». გამოცემა 1885 წ.

*) იხილე „თეატრი“ № 48.



საკირო ხმებს; სინკრიტიული წესი წერა-კითხვის სწავლებისა შეიცავს არამც თუ მარტო სწავლის ზემოხსენებულს წესებს, არამედ წერის სწავლებასაც, თვალ-საჩინო სწავლას, ხაზვას, სიმღერას, ანგარიშს და სხვა ყოველგვარ გონებით სავარჯიშოებს ერთად. აღნიშნულნი მეთოდნი არ არიან საკმაოდ განსაზღვრულნი. ასოთა-შამაერთებელი მეთოდაც დაიწყება ხმებრიდან, ანალიტიკურ მეთოდსაც საფუძვლად აქვს ხმა, რისგამოც უკანასკნელი იწოდება სახმო მეთოდათ. ანალიტიკური მეთოდით სწავლა შეიძლება დაიწყოს არა მარტო სიტყვებიდან, არამედ მთელი სტატიიდანაც, წინადადებებიდანც; სინკრიტიული მეთოდა ბუნდათ არის აღხსნილი, ვრცლად ნათქვამი შეეხება მხოლოდ სასწავლო საგნებს, რომლებიც არ შეადგენენ მეთოდს. საკვირველი ეს არის, რომ ბ. ნათაძე მიყოლია ეკონომიას იქ სადაც მას ალაგი არ უნდა ჰქონდეს და დაუფრულებია იქ, სადაც ეს საკიროა. ის არ სჯობდა, რომ, ნაცვლად დისტერველის, უშინსკის და მიროპოლსკის აზრის შესახებ სახმო მეთოდის ღირსებისა, რომელსაც აქვს დაჭერილი მთელი ხუთი გვერდი, საკმაოდ განესაზღვრა აღნიშნულნი სახმო მეთოდათ, რომ ყოველს მკითხველს ადვილად შეედგინა აზრი, თუ რაში მდგომარეობენ აღნიშნულნი მეთოდნი და რით განირჩევიან ურთიერთისაგან?

სახელ-მძღვანელო წიგნის 13 გვერდზე ბ. ნათაძე სწერს: „სინკრიტიული წესით სწავლება წინასწარ სავარჯიშოებზეა დამყარებული: თვალსაჩინო სწავლაზე, ხმების შესწავლაზე და წერით სავარჯიშოებზე“, ხოლო მეთექვსმეტე გვერდზე კი ბ. ნათაძეს უარ ჰყოფს ამ თავის აზრს, „წერა-კითხვის სწავლებას, ამბობს აქ ავტორი, უთუოდ წინასწარ სავარჯიშონი უნდა მისდევდნენ. ეს წინასწარი სავარჯიშონი სამ კატეგორიად უნდა გაიყოს: ა) სავარჯიშოები წერის სასწავლებლად, ბ) ხმების გამოსაცალკევებლად და გ) თვით წერა-კითხვის შესასწავლებლად“. როგორც ვხედავთ ბ. ნათაძე მეთექვსმეტე გვერდზე უარ ჰყოფს სრულებით თვალსაჩინო სწავლას. ეს წარმოსდგა იმის გამო, რომ მეთოთხმეტე გვერდი არის ნათარგმნი მეთოდებიდან მიროპოლსკისა, რომელიც აღიარებს თვალსაჩინო სწავლას, ხოლო მეთექვსმეტე გვერდი არის ნათარგმნი ბ. ელნიცკის, მეთოდებიდან რომელიც უარ ჰყოფს თვალ-საჩინო სწავლას. თუმცა ბატ. ნათაძე თვალ-საჩინო სწავლას აძლევს თავის დასკვნაში ალაგს, მაგრამ ისეთს არა, როგორც მას შეეფერება. ავტორი სახელ-მძღვანელოსი პირვე-

ლი დღიდან და გაკვეთილიდანვე აწყობენებს და შეგებს სისტემატიურ სწავლას: „სიტყვების განაწილებას, ხმების გამოცალკევებას, შეერთებას და კითხვას; პირველი დღიდანვე აჩვენებს მათ ხელში წიგნს (იხილე გვერდი 24—25 სახელ-მძღვანელო წიგნის). ეს ისეთივე დიდი შეცდომაა, რომ სრულებით საკმაოა ნათაძის სახელმძღვანელო სრულებით გამოუსადეგრად ჩაითვალოს. ყოველი გონიერი და გამოცდილი პედაგოგი არჩევს და პედაგოგიაც მოითხოვს, რომ მასწავლებელმა, ვიდრე დაწყობინებდეს სისტემატიურ სწავლას, შეამზადოს ბავშვები სწავლ-სათვის. ეს პრეპარატიკური ანუ მოსამზადებელი კურსი შეადგენს დედაბოძს, ბურჯს სწავლისას, აიტომ მასწავლებელს არაოდეს არა მართებს აქ აჩქარება. რაც უფრო კარგად და საფუძვლიანად შეამზადებს მასწავლებელი ყმაწვილებს სწავლისთვის, იმდენად უფრო გაუადვილებს შემდეგ სწავლა და წინააღმდეგ, რამდენადაც აჩქარდება ამაში, იმდენად უფრო გაძნელებს სწავლა შემდეგში. „მე არ შემოძლიან წარმოვიდგინო იმაზედ უპედაგოგიური მოქმედება, ამბობს კელლენერი თავის აფორიზმებში, როგორც ის უხამსი ჩვეულება თანახმად რომლისა ბავშვებს პირველი გაკვეთილიდანვე დაწყობინებდნენ ვარჯიშობას სიტყვების ხმებზედ დაშლა-შეზავებაში. ბავშვი, ვით ღრმა ძილში, არის გართული ოჯახში, ჯერ არც კი გამოჩეულა კარგად, თუ სად არის, რა არის სკოლა, ყველასი მას ეშინიან, ყველა მას ან აკვირებს, ან გამოიწვეს მისგან ცნობის მოყვარე კითხვებს და მას უწყალოდ, მის მაგივრად, რომ ცოტა-ცოტაობით მიანიჭონ და გააცნონ სკოლას, არ დაჩინებონ მას ოჯახის და მშობლების მოშორება, აძლევენ მას ხელში წიგნს, აჩქარებენ რაღაცა გაცეცხულ ასოებს, ავებებენ (заставляют произносить звуки), ასმენინებენ და არჩევენებენ რაღაც უცნაურს ხმებს, რომლებსაც ყმაწვილისთვის უსამოვნობის მოტანის გარდა არა შეუქლიანთ რა“.

სახელ-მძღვანელო წიგნის 20 გვერდზე ბ. ნათაძე წარმოადგენს სამს ხმების-გამოსაცალკევებელ ხერხს, მაგრამ დიდი დაკვირვება არ გვინდა, რომ ესენი ჩავთვალოთ მხოლოდ ერთ ხერხად. ავილოთ დასამტკიცებლად თუნდ მეორე და მესამე ხერხი და შევადაროთ. მეორე ხერხი: „ეთქვათ მასწავლებელი ამბობს სიტყვას“ ია,“ ყმაწვილები იმეორებენ ამ სიტყვას. მასწ. ეხლა ვიტყვი „ი“ სრული სიტყვა ვიტყვი, თუ არა? აბა ისე დასრულებთ ეს ჩემი ნათქვამი, რომ სრული სიტყვა გამოვიდეს. მოწ. „ი—ა“.

ეროვნული
ფილმების
სამსახური

მასწ... მე დავიწყებ სიტყვას და თქვენ დაასრულეთ.—ი—ა“. შევადაროთ ამას მესამე ხმათა გამოსაცალკევებელი ხერხი: მასწავლებელი ამბობს სიტყვას „შოა“. იტყვის პირველ ხმას და ეკითხება ბავშვებს: სრული სიტყვა ვთქვი, თუ არაო. ბავშვები რასაკვირველია, ეტყვიან, რომ სრული სიტყვა არ ვთქვამსო. ამბობს ორ ხმას ერთად: შ-შ-შ-ი-ი-ი. მასწ. ეხლა, სრული სიტყვა ვთქვი, თუ არა? თქვით პირველი ხმა, მეორე, მეორე და შემდეგ პირველი. „შ-შ-ი-ი-ო-ო“ ეხლა სრული სიტყვა ვთქვი? რამდენი ხმაა ამ სიტყვაში? 1 ხმა რომელია, 2? 3? და სხვ.

აბა, ახლა თქვენა თქვით, ბ. ავტორო, რით გაირჩევიან აღნიშნულნი ხერხნი ურთიერთისგან? ჩემის აზრით არაფრით. თქვენი სისტემა წარმოადგენს მარტო ერთ ხერხს და არა სამს, თუმცა ა. ელნიცკის მეთოდისაში, მართლა რამდენიმე სხვა-და-სხვა ხერხია წარმოდგენილი. ავილოთ აი თუნდ ეს ხერხი, რომელიც განსვენებულ უშინსკის ეკუთვნის და შეადგენს ნამდვილად ცალკე და საყურადღებო ხერხს: მასწავლებელი აიღებს ორ სიტყვას, რომლებიც ერთნაირად გამოითქვიან, ანუ გაირჩევიან მარტო ერთი ხმით, მაგალითად: ინა, ზნა; ბუი, კუი, ფური, ყური და სხვანი. წარმოატყვამს ნელა და დალაგებით ჯერ პირველს და მერე მეორე სიტყვას. გამოჰკითხავს მოსწავლეებს თუ რასა ნიშნავს პირველი სიტყვა და მეორე. მიაქცევს ბავშვების ყურადღებას იმაზედ თუ რისგან წარმოდგა რომ სიტყვა, ასე გონია, ერთნაირად გამოითქმება და სხვა-და-სხვა მნიშვნელობა კი აქვს, რით დაიწყობა და დაბოლოვდება პირველი და რით-მეორე. ამ ნაირად მასწავლებელი შეასწავლის ბავშვებს, რა ხმებისაგან შესდგება პირველი და მეორე სიტყვა, დააშლენინებს სიტყვას ხმებზედ და შეადგენინებს.

(დასასრული იქნება)

წერილი ავგაში.

ამას წინეთ, რომ ჩვენს „თეატრის“ ნომერში ჩარღვ დიკენსის პატარა მოთხრობა იყო დაბეჭდილი „ლოთი კანის სიკვდილი“ დღეს ეს მოთხრობა ცალკე წიგნათ არის გამოსული და ღირს 5 კპ.

* * 16 დეკემბერს, თფილისში უკვე გამოვიდა ბ. ივ. კერესელიძის სამეურნეო გაზეთი „რისკარის“ სს-

ნიმუშა ნომერი. გაზეთი „დროების“ ფორმის ცვლილას და შიგ დაბეჭდილია შემდეგი წერილები: მოწინავე წერილი, ივლეტონი, მიწის მოვლის შესახებ, მინდა-ლაკის სტატია და სსხლხო ჭიგენა.

* * მომავალ წლიდან თფილისის სომხურ გაზეთი „მელუ ჭიასტანი“ აღარ გამოვა და მის მაგიერ თფიურ ქუჩნაღათ გადაკეთდება. ეს გაზეთი დღეს კვირისში ერთხელ გამოდის, შარშან ორჯერ გამოდიოდა და წინეთ სამჯერ. დაარსებულია 1858 წ.

* *

წუთის სოფლის უკუღმართს არ ვაფასებ ჩაღათა და არც მინდა, მეტწილეთ, ვიყუე მახანჩაღათა. მე რათ მინდა სიცოცხლე უხელოფო, ურგები, თუ კი სიკეთისათვის ტალახში გავისკრები?


რადღ მინდა მე ჩანგი, ან მისი მწარე ყღერა, თუ მით ვერ გამოვსატო ჩემი გულისა ძეგრა? ან ვერ ვამცნო მეგობართ ჩემი გულისა თქმანი და ვერ გავუზიარო ფრიად წმიდა აღთქმანი...

მე რად მინდა სახელი, კეთილ განწყობილობა, — თუ მანც არ ამცდება ბოლოს მაიმუნობა? თუ კი ფიქრი უფკული ჩემი მოაწამლება და, ისევ შკვლარი, გული კვლავ აღარ გაცოცხლდება...

რ. ალისუბელი.

რუსული ოპერა

ოთხშაბათს, 17 დეკემბერს, თბილისის თეატრში დანიშნული იყო პირველი დებიუტი ახლად მოწვეული მოსკოვის ოპერის არტისტის ბატ. მედვედიკისა. წარმოდგენილი იყო მონიუშკოს ოპერა „გაღვა“. ბატ. მედვედიკი იონტკეის როლს თამაშობდა და მშვენიერადანე შეასრულა. პირველ გამოსვლასთანავე ბატ. მედვედიკმა მაყურებლების ყურადღება დაიმსახურა. მშვენიერი და წმინდა ხმა (ტენორი) და მასთანავე მოსდენილი და სასტენო გარეგნობა ნათლად კომპტეიტებს, რომ ბატ. მედვედიკი საყვარელი არტისტი იქნება თბილისის საზოგადოებისათვის. თვისი როლი მშვენიერად



შეასრულა თავიდან ბოლომდე და მსმენელები დიდ აღტაცებაში მოაყვანა.

აგრეთვე ჩინებულად და უწინათ შეასრულა თავისი როლი, ბატ. მედევიკის, მეორე წარმოდგენაზე, ჰარასკეის, 19 დეკემბერს, მეიერბერის, ოპერაში „გუბერნატორში.“ რაჟღერის როლს თამაშობდა.

არც ბატ. ზრინაშნიკოვი ჩამოუვარდა უკან ბატ. მედევიკის. ბატ. ზრინაშნიკოვიც ასლად მოწვეულია და ერთ საუკეთესო ბარიტონით ითვლება მთელს რუსეთში. ეს ჩინებული ბარიტონი და ჭკვიანი არტისტი გრავ დენეკერას როლს თამაშობდა ჰარასკეის და დიდის ხელაგნებით გაატარა მთელი როლი. ურიგო არ იყო აგრეთვე არტისტი-ქალი ქ. რადნოვისა. ჩვენ დიდათ გაკვირვებულნი ვართ ამ ჰატიოსან და დაუღალავს მშრომელ არტისტი ქალისაგან, ან რა სმა რჩება და ან რა ღონე მოსდევს, რომ თითქმის ყოველს დღეს თამაშებს და ყოველთვის კეთილ-სინიდიანანათ ასრულებს თავის როლებს. ორივე წარმოდგენაზე ხალხი დიდ ძალი დაესწრო, ასე რომ თეატრში ტყუა არ იყო. კვირას, 21 დეკემბერს, ბატ. ზრინაშნიკოვის და მედევიკის მონაწილეობით წარმოდგენილი იყო ჩაიკოვსკის ოპერა „კეკელი ობოლი“. პირველი—ობოლის როლს ასრულებდა და მეორე—ლენსკისა. გუშინ იყო კასირის ბატ. ზეტროვისკის ბენეფისი. წარმოდგინეს გუნოს ოპერა „ქუასტი“

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, არწრუნისეულ თეატრში ქართულმა დრამატულმა დასმა, კ. მესხის და კ. უიფიანის მონაწილეობით, წარმოდგინა ოგიუსტ ვაკრის ოთხ მოქმედების დრამა „ჟან ბოდრი (ი. მანბლის თარგმანი). წარმოდგენამ გვარანად ჩაიარა.

კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ბ. უიფიანმა—ბოდრის როლი, ბ. მესხმა—ოლივიუს როლი და ქ. საფაროვა-ახაშიძისამ—ანდრეს როლი. ამ წარმოდგენაზე ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო. შემდეგ ნომერში უცვლად მოვიდა ჰარასკეის ბენეფისი და მოთამაშებულა.

შაბათს, დეკემბერის 20-ს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულმა სამუსიკო და სალიტერატურო სადამამ ძალიან მხიარულად ჩაიარა. ხალხი დიდი ძალი დაესწრო.

სომხური თეატრი.

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, თბილისის თეატრში სომხ არტისტებმა წარმოდგინეს მოლიერის ბიესა „დონ-ჟუანი“. ბატ. ქიურგეიანი ურიგო არ იყო დონ-ჟუანის როლში დანარჩენები კი დმეტრის შეინასოს. თეატრი სრულებით ცარელი იყო.

აქტი V

(დასასრული *)

სცენა I

დელოფალი, მერე აღმირალი და მერე გერნარი. (დელოფალი დახოქლი ლოცულობს ანალოლის (სა-წიგნის) წინ; რამდენიმე წამის შემდეგ მარჯვენა კარებში შემოვა ადმირალი.)

დელოფალი. (სწრაფად ადგება) რას იტყვი? იგი უფრო შეუძლოთ არის?

ადმირალი. მისი დიდებულება იმავე მდგომარეობაშია...

დელოფალი. გარწმუნებთ—გუშინდელ დღეს მე მთლად იმედი დავკარგე. დღეს კი იგი სულ სხვაა, თვითქო შეება ეტყობა. დღეკ მის სახეზე ბრკყვინავს სხივი სიცოცხლისა, არა, აღმირალი!

ადმირალი. მართალსა ბრძანებთ, დედოფალიო.


დელოფალი. ნეტა როდის მომიტანენ... (გერნარი შემოდის სცენის სიღრმეში რომ კარებია და ფოდნოსით ოქროს თასი შემოაქვს) მადლობა ღმერთს; მოიტა აქ... (გამოართმევს ფოდნოსს) მე ვფიქრობ, რომ ეს უშველის რასმე.—(გერნარს) წადი რაც გითხარი აასრულე. (გერნარი იგივე კარებში გავა) დიან, ეს წამალი საუკეთესო წამალი უნდა იყვეს. (მუფის ოთასში შევა).

ადმირალი. რა ნაირად იტანჯება! ვიწვები მისი ცოდვითა.

გერნარი. (სელახლად გამოჩნდება კარებში დონ ალვარით) მიბრძანდით და მანდ მოიცადეთ (იმავე კარებში გავა).

სცენა II

ადმირალი და დონ ალვარი. ადმირალი. დონ ალვარი!



დონ ალკარი. ადმირალო!

ადმირალი. რა მოუთმენელად მოველოდი თქვენს დაბრუნებას.

დონ ალკარი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა გულთ მინდობა მე აქ მოსვლა.

ადმირალი. სინილისის გასაწმენდათ მეფემ მოინდობა თქვენი შერიგება.

დონ ალკარი. დამეწია თუ არა თქვენი გამოგზავნილი შიკრიკი, მე მაშინათვე ბურგოსში დავბრუნდი. შემოველ აქ და წინაგონებებითა მწუხარებამ უფრო ფრთა გაშალა. განა წარმოსადგენია, რომ ამ ერთ დღის განმავლობაში მეფე ისე გამხდარიყვეს ავად, რომ სიცოცხლე ესწრაფებოდეს?

ადმირალი. გუშინ მისმა დიდებულებამ მიიღო საიდუმლო ზიარება, თვითქო კიდევ მოიხედა, მაგრამ ჩემის ფიქრით კი მისი თვალები ხვალინდელ დღეს ველარ იხილამენ.

დონ ალკარი. რა ეშველება დედოფალს?

ადმირალი. ისინიც კი, რომლებიც სდევნიდნენ დედოფალს, ეხლა მისს მწუხარებას თანაუკრძობენ. თავისი მეუღლის სარეცელის წინ დედოფალი ნამდვილ ანგელოზ-მფარველს გვაგონებს. არავის არ შეუძლიან ავათმყოფის ტუჩებს წამალი მიაკაროს, თუ არ თვითონ; შემოიფანტა ყველანი და მარტოდ-მარტო უღლის თავის ავათმყოფს და შიშობს რომელიმე მწერის მოძრაობამ და ქარის ქროლვამ არ შეურყიოს მეფეს მყურდობა. ის მაშინ შორდება მეფის სარეცელს, როდესაც იგი მოისვენებს ხოლმე. მერე მიდის დედოფალი, დავარდება მიწაზე და მხურვალე ლოცვით ავათმყოფს ავედრებს ღმერთსა, ხან უშიზნოდ ერთი ოთახიდგან მეორე ოთახში გადის და ფიქრობს ამ გვარი მოძრაობით ნუგეში რამე მიიღოს, ხან დაეცემა ისევ მუხლებზე და შველასა სთხოვს ღმერთსა, მღვთისმშობელს და წმინდანებს. რომ უთხრას ვინმემ მე ვიცი წამალიო, იგი ცრემლებით ემუდარება მის მოტანას. ყველაზე უფრო ეს გვაწუხებს რომ ეს სამი დღეა საცოდავს თვალი არ დაუხუტავს. ახ, დონ ალკარო, არც ერთი კაცის გულს არ გადაჰხედინა ასეთი ტანჯვანი, როგორც მის გულსა.

დონ ალკარი. თქვენ გეწინიანთ...

ადმირალი. მე ეწიშობ—დალიჯი დაუჭერელი არ დარჩეს.

დონ ალკარი. მოკვდება მეფე და დედოფალს ის ურჩევნია ცოცხალი აღარ იყვეს. ისეთივე ანგელოზები, როგორიც თვითონ არის, გაუღებენ იმას სა-

მოთხის კარებს და იგი იცხოვრებს იქ, თანაღმირებენ. თანღი განისვენებენ.

ადმირალი. მწუხარება, რომელიც აღბეჭდილა თქვენს სახეზედ, სრულიადაც არ მაკვირვებს. როგორც თქვენი, ისე ჩემი გულიც მწუხარებით არის აღვსილი.

დონ ალკარი. მე დედოფალი მეცოდება და მეფეზედაც ვწუხვარ, თუმცა კი ამისგან ბევრი მწუხარება გამომივლია.

ადმირალი. დიახ, დონ ალკარო, დღეს ყველაფერი უნდა დავიწყებას მივცეთ. რაც იყო, იყო. ეხლა ტანჯული უნდა გვებრალეოდეს და უკანასკნელ მის სურვილს დავემორჩილოთ და ვილოცოთ მისთვის.

დონ ალკარი. არ მოველოდი თუ მეფე ჩემთან შერიგებას ინებებდა, რადგან იგი ღიდ დამნაშავეთა მთელიდა მე, ოხ, ეხლა მე გახურებულ ომში ყოფნა უფრო მირჩენია!

ადმირალი. პატიობა პატიოსანი გულისთვისებაა. ერთხელ თქვენ მითხარით საიდუმლოთ მიყვარს ვინმეო. მგონი რომ მიმხეთარი ვარ სავანს თქვენი სიყვარულისას.

დონ ალკარი. როგორ? მიმხედარი ხარ?

ადმირალი. მეტი აღარაფერი!

დონ ალკარი. მეტი აღარაფერი? აღადარა? რა მოუვიდა მას? მე იგი უნდა მძულდეს; მაგრამ იქნება შეცოდების ღირსაც იყვეს.


ადმირალი. იგი მალე ჩვენი სარწმუნოებისა გახდება, ეხლა ის მონასტერში სცხოვრობს და დიდს მონაწილობასა.

დონ ალკარი. ღმერთი იყვეს მისი შემწე.

ადმირალი. დედოფალმა ბძანა თქვენი აქ მოკვლა. მე ბევრი მიზეზებისა გამო მინდობა თქვენი აქ დაბრუნება. დაამშვიდეთ მეფე და ანუგეშეთ. დედოფალი... იქნება მალე მოგვიხდეს მთელი კასტილიელების მოწოდება მეორე უბედურ მსხვერპლზე საფიქრელად. ამ მოკლე ხანში სამშობლო ჩავარდება სამწუხარო მდგომარეობაში და ამაზე ძვირფასი ხომ არა გვაქვს რა.—

დონ ალკარი. მაშ თქვენი ფიქრით დედოფალსაც დაეკარგამთ?

ადმირალი. ამაში დარწმუნებული ვარ, რომ მეფის შემდეგ დედოფალი ცოცხალიც რომ დარჩეს, იგი კასტილიისთვის ცოცხალი არ იქნება. ვვირგვინი უმფლობელოდ დარჩება; მეფე ვერდინანდი მეო-



რედ დაბრუნდება იტალიიდან და კასტილიის და-
ლოიჯს იგი ხელ-მეორედ დაისაკუთრებს.

სცენა III

ივინიკე, მარლიანო, მარკიზ, დევილიენა, ჰრე-
ლატები, ანსაურები, კეიმები, ცოტა ხნის შემდეგ დონ
ხუან მანუელი, მერე დედოფალიც და შემდეგ გერსანო.

დონ ალკარი. როგორ ბრძანდება მისი დიდებუ-
ლებს.

მარლიანო. ლოგინიდან აღვმას აპირობს...

ადმირალი. და თქვენ ნებას აძლევთ?

მარლიანო. იგი ისეთს მდგომარეობაშია, რომ
ყოველი მისი სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს.

ადმირალი. ღონეზე მოდის ხომ?

მარლიანო. ავთი უეცარი მობრუნება, ჩემის
აზრით უკანასკნელს წამებს მოასწავებს.

ადმირალი. აღარა ეშველება რა?

მარლიანო. მეცნიერებამ ყოველი ღონისძიება
სცადა. იგი განუკურნელი ავადმყოფობითა კვდება.

ადმირალი. რამდენიმე დღის შემდეგ?

მარლიანო. რამდენიმე საათის შემდეგ!... (ფარ-
დის იქით კენესს მოაქვს).

დონ ალკარი. გაიგონეთ?

ადმირალი. რა?

დონ ალკარი. არაფერი... უთუოდ მომეჩვენა.

თან ხუან მანუელი. (შემოდის კარებში, რამეღაც
სცენის სიღრმეშია) ბატონებო, საჭიროა ფლამანდე-
ლების თავ-გასულობა ავლაგმოს, თორემ ესენი
ავრცელებენ ყველგან, მითომ მეფე საწამლავეითა
კვდებოდეს.

მარლიანო. ტყუილია!

ადმირალი. რა უსამართლობაა!

დონ ხუან მანუელი. ამ ამბავს ზოგნი მეფე დონ
ფერდინანდის ნოქარებს აბრალებენ, ზოგნი კი დე-
დოფალს აბრალებენ.

დონ ალკარი. ყოვლად სამართლიანო უფალო!

დედოფალი. (გამოდის ფარდის იქიდან) მე მოე-
წამლე ჩემი ქმარი? ამას ლაპარაკობენ? ლაპარაკობენ
ამას? ღმერთო, ნუ შეისმენ იმათ სიტყვას! (ხელებს
იფარებს პირზე და ტირის).

მარლიანო. გაუგონია ჩვენი ლაპარაკი.

დონ ალკარი. საცოდავი!

მარლიანო. დედოფალო... (მიუახლოვდება გულის
შემატვივრებით).

ადმირალი. ნუ სწუხართ ავრე, თქვენო
ბულებავ.

დედოფალი. მაშ ესე... (ლაპარაკი სურს და ვერ
მოუხერხება).

მარლიანო. ბძანეთ.

ადმირალი. ბძანეთ დედოფალო.

დედოფალი. სხვა აღარა ღონისძიება არ მოი-
პოვება?

მარლიანო. რა არ შეუძლიან მოწყალებ ღმერთს!

დედოფალი. მაშ მე თქვენი იმედი აღარ უნდა
მქონდეს? (კეიმებს) მოდით აქ. ვიფიქროთ: მეფე ჯერ
სულ ახალგაზდაა, 28 წლისა. ახალგაზდა და შემდეგ
არსებისათვის უთუოთ კიდევ რაიმე განსაკუთრალი
საშუალება მოიპოვება. კარგად მოვიფიქროთ შეიძ-
ლება რაიმე კარგი წამალი უყურადღებოდ დაგვეტო-
ვებინოს. უეჭველია რამე ბალზამი, რამე ბალახი
არსებობს, რომლის ძალითაც შეიძლება მისი გან-
კურნება. საჭირო ხომ არ არის ჩემი სისხლით განე-
კურნო მისი სენი? აბა, მარლიანო, აბა, ჩემო ერთ-
გულნო მეგობარნო კიდევ, კიდევ ერთი ცდა... ნუ,
ნუ გაჩუმდებით ხოლმე, როდესაც მის დახსნაზე გე-
ლაპარაკებით...

მარლიანო. ჩვენ ყველა საშუალებანი ვცადეთ.


დედოფალი. მაშ უნდა დავკარგოთ იგი, ჰა? ეს
რა ამბავია! ამ ცოტა ხანში იგი სიცოცხლითა ჰყვა-
ვოდა, ეხლა კი ველარავინ იცნობს მას! იგი ხვალ-
ვე... ხვალვე უნდა მის გაციებულ გვამს დავუყურებ-
დეთ... მე თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი თუ ეს
ჩემზე აღრე მოკვდებოდა!

მარლიანო. დემორჩილენით ბედს, დედოფალო!

დედოფალი. იქნება მერე ნელ-ნელა შევძლო
დავემორჩილო ბედს, ეხლა კი არ შემიძლიან.

ადმირალი. შეებრძოლეთ თქვენს მწუხარებას
ისე, როგორც შეჭმენის დედოფალსა.

დედოფალი. მე ყველაფერს მივცემ მისი სიცოც-
ხლის დღეგრძელობისათვის? გამიგონეთ მზათა—მზა-
თა ვარ დალიჯი დაუთმო იმას, ვინც მაგას სიკვდი-
ლისგან დამიხსნის. დიახ, გვირგვინი იმას, ვინც ჩემს
მეუღლეს სიკვდილისაგან დაიხსნის! განა თქვენ ექი-
მები არა ხართ? განა თქვენი ვალი არ არის მისი
განკურნება? ვაი თქვენ თუ მე იმას დავკარგამ... ეს
კარგად დაიხსომეთ! დონ ხუან მანუელი, ბატონო
მარკიზ დე-ვილენა, მე ვგრძნობ, რომ თქვენ ამ ცო-
ტა ხანში უსამართლოდ გამაჯავრეთ; ნუ ჯავრობთ
ნუ ჯავრობთ ჩემზე, შემბრალებთ ეს საცოდავი დე-
დაკაცი, იგი ისეც დატანჯულია! თქვენ მაინც ხომ
არი იცით წამალი, რომელიც მაგას განკურნავს?



ან იქნება იცნობდეთ ისეთ ვისმეს, ვისაც შელოცვა შეუძლიან? მე მრწამს სასწაულები და იქნება ვინმე ჯადოქარი, რომელიც სასწაულებს ახდენს. მე ყველაფერი მჯერა. — ჩქარა, აბა, მამიძებნეთ ვინმე, ვისაც ფილიპეს შეველა შეუძლიან.

ღონ სუან მანუელი. ენდეთ ღმერთს.

დედოფალი. ღმერთი არ ისმენს ჩემა თხოვნას. არც დედამიწაზე და აღარც ზეცაში თანაგრძობას ველარა ვხედავ!... აღმირალო, მისწერე მამაჩემს... დღესვე... ჩქარა მოვიდეს იგი... თორემ კასტილია უმმართველოთა რჩება, და ჩემი შვილები უმამოდ და უდედოთ.

ღონ ალკარა. ჩვენ მივწერეთ და იგი მალე მოვა.

დედოფალი. ღონ ალვარო! მე თქვენ ვერც კი შეგნიშნეთ... მეფეს უნდა თქვენი ნახვა.

ღონ ალკარა. (წინ წამოდგება) მზათა ვარ ავასრულო მისი ბძახება.

დედოფალი. იგი კვდება, ღონ ალვარო, კვდება იგი!

მარკია. დამშვიდდით, დედოფალო.

აღმირალო. მოიგონეთ, რომ თქვენ გაწვეთ საღმრთო მოვალეობანი...

მარკიანო. თქვენი ჯანმთელობა ყველა ჩვენთვის უფრო საჭიროა...

დედოფალი. თქვენ შეგიძლიანთ ჩემი დახსნა და იმისი კი არა? მომშორდით, მომშორდით, ნუ, ნუ მიმღვრევთ გულს. თავი აღარა მაქვს — თქვენ ყური გიგდოთ.

გაჩნარა. (შემაჯა მარცხნივ და დედოფალთან მივა) გიანხლათ იგი!...

დედოფალი. ცოტახანს მამიცადოს. (ეჭიშუბს) მე გთხოვთ რომ იმან სამი დღე იცოცხლოს! ორი, ან ერთი დღე მაინც!... დეე, დილამდის იყვეს. და თქვენ ითავდარიკეთ სასახლის ეკლესიაში ლოცვა არ შესწყვიტონ; შეაეღვრეთ ღმერთს თქვენი მეფე. (ეკლესიაში, დედოფალის გარდა, გაღიან კარბუში, რომეჯიცი სცენის საღმრთოა).

სცენა IV

დედოფალი, მერე ალდარ, მერე მეფე და ორი ექიმი.

დედოფალი. (მარცხენა კარბუთან მივა) ალდარა! ალდარა!

ალდარა. დედოფალო!

დედოფალი. მე დაჯერებული ვიყავი, რომ ბოლოს როგორც იქნებოდა ჩემ თხოვნას შეასრულებდით!

ალდარა. მე თავის დღეში აქ არ ვხედავ შენს მოსვლას. ლიყავი.

დედოფალი. ალდარა, მე მალე დავერივდები.

ალდარა. დღე და ღამე მონასტერში მსურვალე ლოცვით შემინვეწებია თქვენი დიდებულება... მე კარგათ მესმის, დედოფალო, მიზეზი თქვენი მწუხარებისა; თქვენ თქვენს მეუღლისთვის სტირით.

დედოფალი. შენ უფრო მანუგეშე, ვინამ იმათ ვინც ეხლა აქ იყვნენ. იცი რას მეუბნებიან? — გამხნევილი! ამათგანს ვისმე რომ უკედებოდეს ნათესავი, ცოლი ანუ შვილი, მეც წავალ და ვეტყვი იმათ: გამხნევდით მეთქი!

ალდარა. ნუ მაიძულებთ სასახლეში ვიმყოფებოდე. მოიგონეთ ჩემი დანაშაულობანი. ჩემი სუნთქვა გაშფოთებთ თქვენ. ჩემი აქ ყოფნა დანაშაულობაა, ამით შემიძლიან მღვთის რისხვა დაემსახურო.

დედოფალი. შენი დანაშაულობანი! ოჰ, რისათვის არ შეიყვარე იგი? მაშინ ჩვენ ორივენი ერთად ვიტრებდით. გაიგონე, შენი აქ ყოფნა საჭიროა. იქნება რომელიმე განძრახვამ გვიშველოს რამე. მე ცრემლით გემუდარები: წადი მეფესთან და უთხარი რომ იგი გიყვარს შენ.

ალდარა. ოო, ჩემო ძვირფასო დედოფალო! მოიგონეთ, რომ ამ საშუალებით უფრო ავაშფოთებთ მეფეს.


დედოფალი. საცოდავი ცდილობს გარეგანი აღერსით გააქარწყლოს ის ტანჯვანი, რომელნიც მას მოუყენებია ჩემთვის თავისი ციფულობით. მაგრამ მე კი დაჯერებული ვარ რომ იმას მარტო შენ უყვარხარ და სხვა არავინ. წავიდეთ, დეე იმან გნახოს და გაიგონოს შენი ხმა; ერთი შენი შეხედვა, ერთი შენი სიტყვა უთუოდ განკურნავს მას. წამოდი რაღა... რას იგვიანებ? მე რომ სამარეში ვიმყოფებოდე და იქ გაგიგონო მისი ხმა, ნამდვილად იქიდგანაც კი უპასუხებდი. წავიდეთ, გვედრები! სიყვარულს მკედრების აღდგომა შეუძლიან.

ალდარა. თქვენ რად ეჭვიანობთ ღონ ფილიპეს მონანების სიმართლეში?

დედოფალი. მე ამაზე ეჭვი არა მაქვს, რომ იგი ნანობს მარტო იმას — თუ რად უყვარდა მას, და მეც რამდენჯერ მინანია — რად მიყვარს მეთქი იგი, მაგრამ მაინც კი მიყვარს. წამამყევე.

ალდარა. დედოფალო, თუ თქვენ იმასთან მიმიყვანთ, ეს ის იქნება, რომ მეორედ დამამტკიცებინეთ, რომ იგი თავისდღეში არა მყვარებია.

დედოფალი. ახ, არა, უბედურო; ამით შენ მოუხანლოვებ სიკვდილს.



აღდაცა. ნება მომეცით აქედგან გივიდე.
 დედოფალი. ა! არ იცი შენ?... ალვარი აქ არის (სწორეთ ამდროს გამოხსდება მეფე, ორ კქამს მოჭყავთ; იგი ნელ-ნელა უახლოვდება დონს სუანსს).

აღდაცა. (თავისთვის) ალვარი! (სმა მადლს) ამისთვისაც მინდა აქედგან გასვლა.

დედოფალი. კარგი. თავი დამანებე. თუ იგი მოკვდა, მე...
 მეფე. (მიუახლოვდება და გააწყვეტინებს) შენ ცოცხალი დარჩები, თუ მე მოკვდი.

დედოფალი და აღდაცა. ახ! (ცდილობს მეფის სასუკე ამოკითხოს რამე და თავის სიტყვებს მხარულ კიდეას ამღებს) ეს შენა ხარ! განა სიკვდილზე ვინა ლაპარაკობს? აი შენ აქ მომხვედი. უფრო კარგათა ხარ.

მეფე. სენიორა, მე გრხობთ მარტოდ დამტოვით დონა ხუანა! თან.

აღდაცა. ბატონი ბძანდებით.

მეფე. (კქამებს) არავინ დაგვიშალოს ლაპარაკი. (კქამები შეკლან მეფეს დაჯილბას და გაკლან.)

დედოფალი. (აღდაცას ჩუმათ) არ წახვიდე!

აღდაცა. (დედოფალს ჩუმათ) მერე დამიძახეთ. (გავა).

სცენა V

დედოფალი, მეფე, მერე მარლიანო, ადმირალი, დონ ალვარა, ამათ შემდეგ დონ სუან მანუელი, მარკოზ დე-ვილიენა, ვერე, შრელატები, დაბაისკლნი და კქამები.

მეფე. დიან, შენ უნდა იცოცხლო, უნდა იცოცხლო იმისთვის რომ დმერთსა ჰნებავეს შენ იყვე იმედი ჩვენი ხალხისა და ცოცხლობდე მისს საკეთილ-დღეოდ; შენ უნდა იცოცხლო ჩვენი ბაშვები. სათვის, რომელთათვისაც ორკეცი სიყვარულია ეხლა საჭარო. და როდესაც კარლოსმა დაიჭიროს დალიჯი, უთხარი მაშინ მას, რომ მეფეს მარტო სინილისის წვა და დავაში აქვს სხვა მამაკვდავებთან განსხვავება თქო; უთხარი მას, რომ სიკვდილის ქამს—ერთს მხარეზე წარმოუდგება საშინელი მოჩვენება ყოველი სიბოროტისა, რომელიც კი მას ჩაუდენია, მეორე მხარეს—იგი შეჭნიშნავს კეთილსა, რომელს გაკეთებაც ვერ შესძლებია. როდესაც იგი ამღერეულს თვალებს აშმართავს ზეცაში, მაშინ მის ცოდვებისა და ღვთიური მოწყალებისა შუა დინახავს მისი ხალხის ცრემლებიდან შემდგარ ზღვას.

უთხარი: თუ ჩვენგან რამთენი იტანჯა კსტოლა, მაგრამ იმას კი ნუ გააგებენებ, რომ შენც ჩემგანვე ბევრი გიტანჯენია. დეე კარლოსმა მარტო მეფე შეიძულოს და თავისი მამა კი არა.

დედოფალი. ამაზე რაღას ლაპარაკობ, როდესაც ეხლა კარგათ ხარ.

მეფე. ღმერთი ამ წამში მაძლევს ძალას რათა შევიძლო შენს წინ მონანება და შენგან პატიობა გამოვიწვიო.

დედოფალი მე შენ გეუბნები რომ ეხლა ყოველ ხიფათს აცდენილი ხარ: ეს არას ეხლა მარლიანო მარწმუნებდა ამაში. ძალიან შესაძლებელია, რომ ჩემს მწუხარებაში ვადიდებდე მოსალოდნელ სამწუხარო შემთხვევას.

მეფე. ჩემს აქ ყოფნაში ძალით ნუ იმავრებ გულს. იტარე, ჩემო ხუანა, იტირე.

დედოფალი. ეხლამ რომ შენ კარგათა ხარ?

მეფე. და მეც გამწარებლი შენ, და ის კი არ წარმომდგინა რომ გამწარებლი ანგელოზს; რომელიც ზეცამ გზის მაჩვენებლად მომივლინა...

დედოფალი. შენ თუ სხვა გიყვარდა და მე არა ეს ცოდო არ არის. ეს ჩემი ბრალია.

მეფე. ნუ მამართლებ.

დედოფალი. მე დამნაშავე ვარ რომ გაწვალე ჩემი ეჭვიანობით. ჩემმა დაწყვეტილმა სიყვარულმა, რომელიც შენს გულითად სურვილებს ელობებოდა, დაგლუბა შენ. მაგრამ აღდაცას უყვარხარ შენ და თუ მისგან წინამდგე რამე გაიგონე—ესეც ჩემი ბრალია, მე იგი იძულებული გავხადე ასე მოქცეულიყო. მაგრამ ეჭვი ნუ გაქვს: უყვარხარ მავას, ძრიელ უყვარხარ.

მეფე. გაჩუმდი და ნულარ მიშფოთებ სინილისით დამწვარ და დადაგულ გულს. (წამოდგება) სამართლიანმა ღმერთმა ჩემს დასასჯელად ჩემა გულში შენდამი უზომო სიყვარული გამიცხოვლა. წმინდაო წამებულო, ტანჯულო ჩემგან, მოდი, მოდი მომეხეიე! მომეცი ნება ჩემი გახურებული ბაგენი შევახო შენს წმინდა სახეს. მაგრამ რას ვამბობ? წადი დამტოვე მარტოდ. მე იმ ბედნიერების ღირსი არა ვარ რომ შენს ხვეწნაში დავლიო სული. წადი და ნუ იტირებ ჩემზე... წადი და... (ეკვება ძალა და საკამქვს მიესკუნება).

დედოფალი. ფილიზე!

მეფე. დადგა ქამი სიკვდილისა.

დედოფალი. შენ გგონია... ეგ ტყვილია.

მეფე. ხუანა, მომიტყევე. (მის ფეხების წინ დაეცემა).

ეროვნული
მატიონი

დედოფალი. რას შერები ამას? რარ ლაპარაკობ? მეფე. დამაწყე თავზე ხელები და ისე მაპატიე... შენი მოწყალება დიდია ჩემთვის.

დედოფალი. მე უნდა გაპატიო? მეფე. ჩქარა... ნუ იგვიანებ.

დედოფალი. კარგი... დიან, გაპატიებ, ჩემო საყვარელო ფილიპე (ხელებს დასწოებს მეფის თავზე). მეფე. შენი მოტყევა გულის სიმშვიდეს დამბრუნებს (დედოფალს დახმარებით დაჯდომა უნდა).

დედოფალი. (მიდის საშუალოდ დაუძინოს ვისმე) ახ! მეფე. არა, არა ნუ მომშორდები.

დედოფალი. გამხნვედი, ფილიპე... ძალა მოიკრიფე... ებრძოლე სიკვდილს... იბრძოლე.

მეფე. შეუძლებელია!

დედოფალი. იცოცხლე შენი მამისათვის... შენ იგი ისე გიყვარს...

მეფე. მამა ჩემი!

დედოფალი. იცოცხლე ჩენი ბავშვებისათვის... შენი კარლოსისათვის, იზაბელასათვის, მარიამისთვის; ჯერ შენ არც კი იცი, რომ ზეცა ახალ ბედნიერებას გვპირდება ფილიპე, თუ შენს გულში მამობრივი სიყვარული ტრიალებს, იცოცხლე, იცოცხლე რომ დაჰკოცნო ბავშვი, რომელიც მალე უნდა დაგვებოდეს.

მეფე. უფალო, მომეცი იმდენს ხანს სიცოცხლე რომ შევიძლო იგი იმდენად ბედნიერი გავხადო, რამდენადაც ჩემგან უბედური იყო. ო, მე რომ ცოცხალი დავრჩებოდე რანაირად შეყვარებოდი.

დედოფალი. ღმერთო მაღალო! შენ იცი მართო რანაირად ვიტანჯები მაგისთვის, ეხლა კი როდესაც ამასაც შეუყვარდი, მაშინ ართმევ სიცოცხლეს? არა, ეს დასაჯერებელი არ არის, ეს შეუძლებელია. შენ არ შეგიძლიან, შენ ამას არ მოინდომებ. ეს გადამეტებული უსამართლობა იქნებოდა და შენ ხომ სამართლიანი ხარ, უფალო, შენ სამართლიანი ხარ!

მარლიანო. (გამოჩნდება კარებში, რომელიც სტენის სიდრემეისა. ამას მოსდევს ალდარა, დონ ალვარა და ადმირალი.) შემობრძანდით, შემობრძანდით! აი ამისი მეშინოდა!

დედოფალი. (მიიზბენს მარლიანოსთან) ნო, ჩემო საყვარელო მარლიანო! დონ ალვარა. მეფეო!

მეფე. დონ ალვარო, მომეცი ხელი; მეგობრები გავხდით. არაინ არ დასტოვოთ იგი... (დონ ალვარა დაიხრჩებს და მეფეს ხელზე აკოცებს).

დედოფალი. (მარლიანოს განზე გაიყვანს) რას იტყვი? დავიჯერო იგი კვდება?

მარლიანო. (დონ ალვარას და ალდარას) როგორც იყვეს ღედოფალი აქედგან უნდა გავიყვანოთ, (ადმირალს) ითავდარიგეთ. (ადმირალი გვაკარებს, რომელიც სტენის სიდრემეისა).

დონ ალვარა. წაიღეთ თქვენო დიდებულებავ. ალდარა. წაიღეთ.

დედოფალი. თავი დამანებეთ! უღმობელნო! თავი დამანებეთ! (გამოუშვებს ალვარას და ალდარას სკედიგან და მიიზბენს, ხელს მოაკლავს და ყვირილით გაუშვებს ისე) ახ, რა სიცივეა! ეს სიკვდილის ნიშანია!... აი იგი!... მე ვხედავ მას!... ამას უნდა ქმარი წამართოს. არა, შენ არ მიგიშვებ ამასთან! (დადგება მეფის წინ და თითქმის ვიღაც არ უშვებს მეფისთანა, სრული შეშლილობა ეტყობა).

მეფე. ხუნა...

დედოფალი. მოდი, მოდი ჩემთან... სხვაგან არსად!

მეფე. ხუნა, ჩემო ხუნა! რა საშინელი სასჯელია! ღმერთო მაღალო! შემიწყალე მე... მაპატიე! (კვდება).

დედოფალი. (მივარდება) ფილიპე! ფილიპე! მარლიანო. (ადმირალს) მეფე გარდაიცვალა.

დედოფალი. გარდაიცვალა (მივარდება ცხედარს) ეს ჩემია! ემას სამუდამოდ ჩემთან შევიწინაბე... მას გავათბობ ჩემი კოცნით; მე მას გავბან ჩემი ცრემლებით... ცოცხალია თუ მკვდარი—ჩვენ ერთი ერთმანეთს არ გავშორდებით. დიან უწყალო, სიკვდილო, შენ მაგას ვერ წამართმევ! აბა, სცადე და წამართვი იგი!... გაჩუმდით, ბაღებო, გაჩუმდით! მეფეს სძინავს! სუთ, იგი არ გამოაღვიძოთ...

თეატრის რედაქცია

აღდარა. მოწყალეო ღმერთო.
დედოწაღი. დაიბნე, ჩემო სიყვარულო, დაიბნე... მოსივინე...

ს. ნ—თ—ძე.

დასასრული.

რედაქტორი-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1887 ГОДЪ
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ АРМЯНСКІЙ ЖУРНАЛЪ

„АГБЮРЪ“

(5-й годъ изданія)
(ВЪ ГОДЪ 12 НОМЕРОВЪ)

ПРОГРАММА

Отдѣль 1-й:

- i Повѣсти, разсказы, сказки, путешествія, біографіи, поэмы, эпизоды.
- ii Стихотворенія.
- iii Наука и искусство.
- iv Смѣсь.
- v Мелочи.
- vi Дѣтскія, педагогическія, шахматныя и другія игры, ребусы, математическія задачи, анекдоты, загадки, поговорки, пословицы.
- vii Пѣсни съ нотами.

Отдѣль 2-й:

- viii Статьи, косяющіяся воспитанія и обученія дѣтей.
- ix Прозѣты и совѣты.
- x Вибліографія.
- xi Смѣсь.
- xii Отвѣты и объявленія.

Годовые подписчики получаютъ двѣ преміи: при внесеніи подписной цѣны.

Преміи составляютъ картины св. Саака и Месропа, первихъ просвѣтителей Арменій

Величина каждой картины 65 сант. въ длину и 50 с. въ ширину.

Годовая цѣна „Агбюра“ 5 рубл. ные номера 50 к.

Адресъ: Тифльс, Редакція журнала «Агбюръ»; а изъ заграницы: Tiflis (Caucase) Redaction du journal „Agbur“.

Редакторъ-издатель Т. Я. Назарянъ

3—1

გამოვიდა და ისუიდება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის

ქართული წერის დედანი

ვ. შაბიჩვაძის .

ფასი 30 კაპ.

ვინც რც-და-ათს, ანუ მეტს ეკემპლიარს იეიდის, ეკემპლიარი 24 კაპ. დაეთობა და გაეგ საზენება.

წერის დედანს შეადგენს: 1.) მსხვილი გადაბმული ხელი ბადეში თავის ელემენტრებით; 2.) დაპატარავებული საშუალო გრკვალი ხელი უბადეთო ოთხს საზში; 3.) გადაბმული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს საზში და 4.) გადახრილი (ნაკლონი) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში-ჯერ გადაბმულად და შემდეგ სამს საზში გადაბმით. დედანსა აქვს სულ 24 კვერდი.

ვასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშუალებით. საკლასო რეპეტიციონებს-საც ავიღებ.

პეტრე მირიანაშვილი
აღრესი „თეატრის“ რედაქციონში.



„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1887 წლისათვის

(წელიწადი III)

გარდა პირ-და-პირი თავის დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრების, (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, „თეატრი“ თავს ადევნებს კიდევ ჩვენ ლიტერატურასაც. დრო გამოშვებით „თეატრი“-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს. საზოგადოთ პროგრამა „თეატრისა“ შემდეგია:

- ა. მოწინავე წერილები.
- ბ. პიესების და წარმოდგენების რეცენზიები
- გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
- დ. კორესპონდენციები და უოველ-გვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდან, უფრო თეატრის გამო.
- ე. ხელაწივით გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიული წერილები მათის სურათებით
- ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სხვ.
- ზ. ცნობანი რუსეთის და სამხლვარ გარეთის თეატრისა.—
- წ. ფელეტონი: თეატრის კვირა, ლექსები, სამღერალი კუბლეტები, დრამა-ტიული თხზულებანი, სცენები, რომანები, მოთხრობანი, ამბები, მოგონებანი და სხვ.
- თ. გასართობი: ანიგდოტები, გამოცხანები, რებუსები, შაირები და სხვ.
- ი. უოველ-გვარი ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ „თეატრს“ ადუთქვეს თავიანთი მონაწილეობა. „თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით.

ფასი „თეატრი“-სა:

წლით, როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის—	5 მან.
ნახევარი წლით	3 მან.
ცალკე ნომერი	15 კაპ.

სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღებ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში მხოლოდ „თეატრის“ რედაქციაში ქუთაისში ძმათა ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდაძესთან.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію «ТЕАТРЪ». რედაქცია იმუთება: Базарная улица, домъ Тамашева, № 16